




ავტორები: თორნიკე სურგულაძე და დავით კუშელავა

საქართველოს ეკონომიკური ტენდენციების ანალიზი: უსხოურ ვალუტაში დეპოზიტები ზომიერად გაიზარდა, წლიური ექსპორტი შემცირდა, ფულად გზავნილებზე მიგრაციის გავლენა შეიძვალა, ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალია

გრაფიკი 1 – საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISSET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა განაახლა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზი 2023-ის ბოლო და 2024-ის პირველი კვარტლებისთვის. წარმოგიდგინებთ ამ თვის მიგნებებს.

ძირითადი მიგნებები:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) 2023 წლის ნოემბრის მშპ-ის რეალური ზრდის განახლებული შეფასება გამოაქვეყნა. აღნიშნული შეფასებით, მშპ 5.9%-ით გაიზარდა, მშპ-ის ზრდის საშუალო მაჩვენებელმა კი იანვარ-ნოემბერში 6.9%-ს მიაღწია.
- ნოემბერში საქსტატმა 2023 წლის პირველი და მეორე კვარტლების მშპ-ის რეალური ზრდის წინასწარი შეფასება დააკორექტირა. ზრდის მაჩვენებელი 1-ელ კვარტალში 8.0%, ხოლო მე-2 კვარტალში 7.8% იყო. მე-3 კვარტალში მოსალოდნელი ზრდის მაჩვენებელი 5.4%-დან 5.7%-მდე დაკორექტირდა.



- ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზით, 2023-ის მეოთხე კვარტალში მშპ-ის რეალური ზრდის წლიური მაჩვენებელი 6.2% იქნება, 2024-ის პირველ კვარტალში კი – 2.7%.
- ნოემბრის მონაცემებზე დაყრდნობით, 2023 წლის წლიური ზრდის პროგნოზი 7.3%-ს შეადგენს.

ცვლადები, რომლებზე დაყრდნობითაც მშპ-ის ზრდის პროგნოზი განისაზღვრება:

დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ცვლადების პირველი ჯგუფი, რომელიც ჩვენს პროგნოზზე ზომიერ გავლენას ახდენს, კომერციულ ბანკებში ეროვნულ და უცხოური ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებს ეხება. ნოემბერში ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა ყველა კატეგორიის დეპოზიტმა წლიური ზრდა განიცადა. კერძოდ, ეროვნულ ვალუტაში მოთხოვნამდე დეპოზიტები წლიური 43.7%, ხოლო ვადიანი დეპოზიტები წლიური 31%-ით გაიზარდა. შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები წლიური 34.9%-ით გაიზარდა. თუმცა, ჩვენი მოდელის თანახმად, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებს რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე უარყოფითი გავლენა ჰქონდა.

ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტებისგან განსხვავებით, **უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით, ზომიერი, 5.2%-იანი ზრდა განიცადა.** ამავე პერიოდში უცხოური ვალუტის მიმდინარე ანგარიშები წლიურად 1.6%-ით, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები 0.1%-ით შემცირდა. მეორე მხრივ, უცხოური ვალუტის ვადიანი დეპოზიტები წლიური 18.3%-ით გაიზარდა. ეროვნული ვალუტის გაუფასურება ნაწილობრივ ხელს უწყობს უცხოურ ვალუტაში არსებული დეპოზიტების წლიურ ზრდას. შედეგად, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი, ფართო ფულის გათვალისწინებით, 1 პროცენტული მაჩვენებლით გაიზარდა თვიურ ჭრილში, მიუხედავად ამისა, წლიურად 11.8 პროცენტული მაჩვენებლით შემცირდა. *მთლიანობაში, ჩვენს მოდელზე დაყრდნობით, უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტებიდან გამომდინარე ცვლადებს საგრძნობლად უარყოფითი გავლენა ჰქონდა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

საქონლით ვაჭრობა. ნოემბერში საქართველოს ექსპორტი წლიურად 1.8%-ით შემცირდა. ამის ძირითადი მიზეზი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (წლიურად 76.5%-ით შემცირდა), ფეროშენადნობების (შემცირდა 28.6%), მინერალური და ქიმიური სასუქების, აზოტის, (შემცირდა 61.6%) ნატურალური ყურძნის ღვინოების (შემცირდა 27.4%) ექსპორტის/რე-ექსპორტის შემცირება იყო. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ საავტომობილო ექსპორტმა/რე-ექსპორტმა, საგრძნობი, წლიური 81.8%-იანი ზრდა განიცადა.

ამ პერიოდის განმავლობაში, საქონლის იმპორტი წლიურად 6.8%-ით შემცირდა, რაც ავტომობილების (შემცირდა 3.9%-ით), აირების და სხვა თხევადი ნახშირწყალბადის (შემცირდა 33.1%), სატელეფონო აპარატების, ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის განკუთვნილი ტელეფონების ჩათვლით (შემცირდა 6%), იმპორტის/რე-იმპორტის შემცირებამ გამოიწვია. ამის საპირისპიროდ, ნავთობის და ნავთობპროდუქტების (გაიზარდა 29.9%) და დაფასოებული მედიკამენტების (გაიზარდა 40.8%) იმპორტმა/რე-იმპორტმა წლიური ზრდა განიცადა. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი მცირედით,



წლიური 5.4%-ით შემცირდა და 740 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. *მთლიანობაში, ვაჭრობასთან დაკავშირებულ ცვლადებს, მშპ-ის ზრდის პროგნოზზე მცირედი დადებითი გავლენა ჰქონდა.*

ფულადი გზავნილები. ნოემბერში ფულადი გზავნილები წლიურად 43.8%-ით შემცირდა და 292.7 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია. აღნიშნული შემცირების მთავარი მიზეზი რუსეთის ფედერაცია (შემცირდა 76.2%, -46.2 პროცენტული პუნქტი), თურქეთი (შემცირდა 9.8%, -0.2 პროცენტული პუნქტი) და აზერბაიჯანია (შემცირდა 17.7%, -0.1 პროცენტული პუნქტი). თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ფულის შემოდინება გაიზარდა იტალიიდან (გაიზარდა 19.7%, 1.4 პროცენტული პუნქტი), ამერიკის შეერთებული შტატებიდან (გაიზარდა 41.6%, 2.3 პროცენტული პუნქტი), გერმანიიდან (გაიზარდა 32.2%, 1 პროცენტული პუნქტი), საბერძნეთიდან (გაიზარდა 7.8%, 0.3 პროცენტული პუნქტი), ყაზახეთიდან (გაიზარდა 71.3%, 1.4 პროცენტული პუნქტი), ესპანეთისა (გაიზარდა 8.7%, 0.1 პროცენტული პუნქტი) და საფრანგეთიდან (გაიზარდა 12.4%, 0.1 პროცენტული პუნქტი). ფულის შემოდინების შემცირება შესაძლოა განპირობებული იყოს საბაზო ეფექტით. 2022 წელს, უკრაინაში რუსეთის მიერ ომის დაწყების შემდეგ, საგრძნობლად გაიზარდა საქართველოში შემოსული რუსი მოქალაქეების ნაკადი, რომლებიც პირადი მიზნებისთვის რიცხავდნენ თანხებს. აღნიშნული მოვლენის გარდამავალი ეფექტის შემცირებასთან ერთად, საქართველო უბრუნდება ფულადი გზავნილების შემოდინების ჩვეულ დონეს. მეტი სიცხადისთვის, აღსანიშნავია, რომ 2023 წლის მესამე კვარტალში საგრძნობლად (40%-ით) გაიზარდა შემოდინებული ფულადი ნაკადი, 2021 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. *შედეგად, ფულად გზავნილებს მცირედი დადებითი გავლენა ჰქონდა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

გაცვლითი კურსი. ნოემბერში ლარი აშშ დოლართან (0.3% თვიურ ჭრილში), ევროსა (4.1% თვიურ ჭრილში) და რუბლთან (5.2% თვიურ ჭრილში) მიმართებით გაუფასურდა, თუმცა თვიურ ჭრილში 2.1%-ით გამყარდა თურქულ ლირასთან მიმართებით. ამასთან, რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) წლიურ ჭრილში 2.7%-ით გამყარდა, ხოლო თვიური ჭრილში 2.8%-ით გაუფასურდა. REER-ის წლიური გამყარება ძირითადად რუსეთის მოქალაქეების შემოდინებამ გამოიწვია. ერთი მხრივ, ლარის გაუფასურება უარყოფითად აისახება ქართველ მოსახლეობაზე, იმპორტზე ძლიერი დამოკიდებულებისა და სესხების დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებლის გამო (ბიზნესებს შემოსავალი და ვეღდებულებები სხვადასხვა ვალუტაში აქვთ), მეორე მხრივ, ძლიერდება კონკურენტუნარიანობა ექსპორტში. აღნიშნული ორმხრივი ეფექტი შესაძლოა დადებითად აისახოს საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. *მთლიანობაში, REER-თან დაკავშირებულ ცვლადებს საგრძნობლად უარყოფითი გავლენა ჰქონდა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

ფულის მიწოდება. ნოემბერში ყველა მონეტარულმა აგრეგატმა, მათ შორის ბანკებს გარეთ არსებულმა ნაღდმა ფულმა (M0) და ფართო ფულმა (M3), საგრძნობი წლიური ზრდა განიცადა. მონეტარული აგრეგატები M2 და M3 წლიური 31% და 17.6%-ით გაიზარდა, შესაბამისად. მიმოქცევაში არსებული ვალუტა წლიური 15.4%-ით გაიზარდა და ბანკის გარეთ არსებული ნაღდი ფული (M0) – 20.4%-ით. *მიუხედავად ამისა, ჩვენი მოდელის მიხედვით, ფულის მასასთან დაკავშირებულ ცვლადებს უარყოფითი გავლენა ჰქონდა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*



სამომხმარებლო სესხი. ნოემბერში კომერციული ბანკების სამომხმარებლო სესხების მთლიანი მოცულობა თვიური 3.1%-ით და წლიური 23.8%-ით გაიზარდა. ამავდროულად, კომერციულ ბანკებში მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხების მოცულობა თვიურ ჭრილში 7.4%-ით, ხოლო წლიურ ჭრილში 30%-ით გაიზარდა (ამგვარი ტენდენციის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორი ეროვნულ (18.2%) და უცხოურ ვალუტაში (97.8%) მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხების წლიურ ჭრილში ზრდაა). აღსანიშნავია, რომ კომერციულ ბანკებში გრძელვადიანი სამომხმარებლო სესხების მოცულობა თვიურ ჭრილში 3%-ით, ხოლო წლიურ ჭრილში 23.6%-ით გაიზარდა. საგულისხმოა ისიც, რომ ზრდის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა. ზრდის მაჩვენებელი 2022 წლის პირველი თერთმეტი თვის განმავლობაში 33.4%-ს შეადგენდა, 2023 წელს კი მნიშვნელოვნად, 21%-ით შემცირდა. *საერთო ჯამში, სამომხმარებლო სესხებთან დაკავშირებულ ცვლადებს მცირე უარყოფითი გავლენა ჰქონდა რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

ინფლაცია. ნოემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 0.1%-ს გაუტოლდა, რაც მიზნობრივ 3%-ს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) ინფლაციის შემცირება დიდწილად განაპირობა ისეთმა გარე ფაქტორებმა, როგორცაა პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად ფასებზე ზეწოლის შემსუბუქება. აღსანიშნავია, რომ **საწვავის ფასები (ევრო ბრენტის ფასი (COP)) წლიური 9.3%-ით შემცირდა.** მიუხედავად ამისა, ლარის გაუფასურება ზრდის იმპორტული საქონლის ფასს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა, არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მაღალია საერთაშორისო სასაქონლო ბაზარზე ინფლაციის ზრდის რისკი. *საერთო ჯამში, სამომხმარებლო ფასების ინდექსთან (CPI) დაკავშირებულ ცვლადებს უმნიშვნელო გავლენა ჰქონდა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage') აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.